

საინფორმაციო მასალა ველენიეს შესახებ

ველენიე ახალგზარდა, მოწინავე ევროპული ქალაქია, რომელიც გამოირჩევა თანამედროვე არქიტექტურითა და მზარდი კულტურათაშორისი ღიაობით. ველენიე პირველად მოხსენიებული იყო მე-13 საუკუნეში, როგორც სავაჭრო დასახლება, ხოლო ქალაქად მისი გარდაქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაიწყო – 1959 წლის 20 დეკემბერს საზეიმოდ გაიხსნა ქალაქის ახლადამენებული ცენტრი. დღეს ველენიე ადმინისტრაციული ცენტრიცაა, ხოლო ველენიეს მუნიციპალიტეტში შედის 25 დასახლებული პუნქტი დაახლოებით 33 000 მოსახლით, საიდანაც 25 000-მდე ადამიანი ქალაქ ველენიეში ცხოვრობს. ქალაქი სლოვენის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრია, ხოლო სავინია-შალეკის რეგიონში მას დასაქმების, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო ცენტრის სტატუსი აქვს. ველენიეს ეკონომიკურ განვითარებას მეტწილად ხელს უწყობს ნახშირის საბადოები, ენერგეტიკული სექტორი, ლითონის დამუშავება და სპეციალიზებული მომსახურებები, ბოლო დროს კი – ტურიზმიც. მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის და სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიის წყალობით, ველენიე არაერთი ეროვნული და საერთაშორისო ჯილდოს ლაურეატი გახდა. ქალაქისა (ტიტოს მოედანი მდებარეობს 390 მ სიმაღლეზე) თუ მისი შემოგარენის ბუნებრივი სიმდიდრე ადვილად შესამჩნევია და მისით ტკბობა მარტივად შესაძლებელია ქალაქის პარკებში, ტყეებში, ტბებთან და სალაშქრო მარშრუტებსა თუ ველობილიკებზე. თანამედროვე სპორტული ნაგებობები, კულტურული დაწესებულებები, მუზეუმები, სასწავლებლები, საზოგადოებები, კლუბები და შემოქმედი ადამიანები — სწორედ ამისგან შედგება ქალაქის ყოველდღიურობა. ველენიე სახელგანთქმულია მრავალი სპორტული, რეკრეაციული, ტურისტული და კულტურული ღონისძიებით. ის არის მუსიკის, ცეკვის, პოეზიისა და ინოვაციური იდეების ქალაქი. ველენიეს ისტორიაში შევა მრავალი ცნობილი სახელი, რომელთა შორისაა ქალაქის მკვიდრი აღიარებული ეკონომისტები, მეცნიერები,

ხელოვანები, სპორტსმენები, პოლიტიკოსები და ა.შ. ველენიე
კულტურული ძეგლების ქალაქია, რომელიც გამოირჩევა მრავალი
ბუნებრივი სანახაობით, განსაკუთრებით კი ღონისძიებებითა და
სტუმართმოყვარე ადამიანებით, რომლებიც მოუთმენლად გელიან –
*კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ველენიეში, ჩვენო ძველო და ახალო
მეგობრებო!*

© UVKF/Velenika/Leemeta